ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 9

ქ. თბილისი 20 მაისი 2019 წ.

ერთის მხრივ **შპს „მეგა სთარ“** (ს/კ 402120450) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ეკატერინე ყურაშვილის** სახით (შემდგომში „გამყიდველი”), და მეორეს მხრივ **ააიპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი** (ს/კ 404910833) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი ჯაფარიძის** სახით (შემდგომში „მყიდველი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დანართი № 1-ში მითითებული რაოდენობით საჩუქრების და ჯილდოების (**CPV 18530000)** შესყიდვა.

1.2. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგნელის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.3. საციგურაო ცენტრი გადასცემს საჩუქრებს და ჯილდოებს მოსწავლეებს.

2. მიწოდების წესი

2.1. მყივდველი პირადად განახორციელებს საქონლის გატანას გამყიდველის ობიექტიდან წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 30 /ოცდაათი/ კალენდარული დღის ვადაში.

2.2. მყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიღების დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება და განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

2.3. საქონელის გადაცემა დასტურდება სასაქონლო ზედნადებით, რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე საქონლის გადაცემისთანავე გადადის მყიდველზე.

2.4. გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს **295.00 (ორასოთხმოცდათხუთმეტი)** ლარს.

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებლს საქონელის სრული ღირებულება ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საქონელის სრულად მიწოდების თარიღიდან არაუმეტეს 10 /ათი/ კალენდარული დღის ვადაში.

3.3. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

3.4. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

4. სანქციები

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მყიდველი" თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის გადახდის ვალდებულებისაგან.
4.2. „გამყიდველი"-ს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების ან/და საგარანტიო სამუშაოს დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, „გამყიდველი" ვალდებულების დარღვევიდან მის მიერ ამ ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ან/და შესაბამისი ხარვეზის აღმოფხრვამდე გადაუხდის „მყიდველს" პირგასამტეხლოს სახით ყოველ კალენდარულ დღეზე ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ს. ამასთან, თუ მიწოდების, ვადების გადაცილება გადააჭარბებს შვიდ კალენდარულ დღეს, „გამყიდველი" მერვე კალენდარული დღიდან ვალდებული იქნება პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,3%, ხოლო ვადაგადაცილების მეთხუთმეტე დღიდან – ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1% ყოველ გადაცილებულ დღეზე. ამ უფლებით „მყიდველმა" შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.2 „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, ომი და საომარი მოქმედებები და სხვ.
5.3 მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 48 საათისა ამ გარემოებების დადგომიდან წერილობით აცნობოს ამის თაობაზე მეორე მხარეს.
5.4 შეუტყობინებლობის ან/და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.
5.5 შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6. დავის გადაწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

„მყიდველი”	„გამყიდველი”
ააიპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი. **მის:** ქ. თბილისი, მ. კოსტავას # 75ა. **ს /კ** 404910833 სახელმწიფო ხაზინის ანგარიში: TRESGE22 სახაზინო კოდი: 741707019 **ირაკლი ჯაფარიძე** ---------- დირექტორი	**შპს „მეგა სთარ“** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №197 ს/კ 402120450 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE73BG0000000160920750 **ეკატერინე ყურაშვილი** ---------- დირექტორი